**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ბიუროს გადაწყვეტილება სამართლებრივი აქტის პროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ**

ოქმი 9 | 27 მაისი 2019 წელი

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტი - საქართველოს კონსტიტუციის 45-ე მუხლის შესაბამისად, საკანონმდებლო ინიციატივის წესით „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტის საქართველოს პარლამენტში წარდგენის შესახებ (09-01-88/73 25.04.2019 წელი)**

დასახელება

| | |
|---|---|
| *აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი ვლადიმერ მგალობლიშვილი* | *აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო* |
| ავტორი | ინიციატორი |

*განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტი*

წამყვანი *კომიტეტი*

| | | |
|---|---|---|
| 25.04.2019 წელი | წამყვანი კომიტეტი: 04.06.2019წ.<br>სხვა კომიტეტები: 03.06.2019წ. | საგაზაფხულო სესია |
| შემოსვლის თარიღი | საკომიტეტო მოსმენის ვადა | სხდომაზე განხილვის თარიღი |

*საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტი*

*კომიტეტი* რომლის დასკვნა სავალდებულოა

უმაღლესი საბჭოს ბიურო ადგენს:
უმაღლესი საბჭოს კომიტეტებსა და ფრაქციებში დაიწყოს სამართლებრივი აქტის პროექტის განხილვა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე,
ბიუროს სხდომის თავმჯდომარე **მერაბ კარანაძე**

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს წევრი

ტელ.:+995 (0) 32 228 54 48 ელ.ფოსტა contact@sca.ge
ჩაქვი, მეგენეიშვილის ქ. №25

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს
საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტის
უფროსს **ბატონ გიორგი ბერიძეს**

**ბატონო გიორგი,**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 84-ე მუხლის შესაბამისად, ბიუროს უახლოესი სხდომისათვის წარსადგენად და საკანონმდებლო პროცედურების დასაწყებად გეგზავნებათ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტი _ საქართველოს კონსტიტუციის 45-ე მუხლის შესაბამისად, საკანონმდებლო ინიციატივის წესით ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს კანონის პროექტის საქართველოს პარლამენტში წარდგენის შესახებ.

/დანართი: 7 ფურცელი/

პატივისცემით,

**ვლადიმერ მგალობლიშვილი**

09-01-08/73
25 04 2019
8 ფურცელი

*პროექტი*

# აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს

# დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

საქართველოს კონსტიტუციის 45-ე მუხლის შესაბამისად, საკანონმდებლო ინიციატივის წესით ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს კანონის პროექტის საქართველოს პარლამენტში წარდგენის შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

1. საქართველოს კონსტიტუციის 45-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტს წარედგინოს საქართველოს კანონის პროექტი - ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე.

2. წარდგენილ კანონპროექტზე საქართველოს პარლამენტის კომიტეტებსა და პლენარულ სხდომებზე მომხსენებლად დაინიშნოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი ვლადიმერ მგალობლიშვილი.

3. ეს დადგენილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე

<u>პროექტი</u>

# საქართველოს კანონი

## „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

**მუხლი 1.** „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №20, 04.05.2005, მუხ. 143) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. ა) 49-ე მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,6. ამ კანონის 35-ე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული საჯარო სკოლის სტრუქტურული ერთეულების მიერ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების დარღვევის შემთხვევაში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, ხოლო **აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებში შესაბამისი სამინისტროები** უფლებამოსილი არიან სკოლას მისცენ წერილობითი გაფრთხილება ან/და სკოლის სამეურვეო საბჭოს მიმართონ შესაბამისი დასაბუთებული წარდგინებით დირექტორისათვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე. სკოლის სამეურვეო საბჭო დირექტორისათვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხს განიხილავს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, ხოლო **აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებში შესაბამისი სამინისტროების** წარდგინებაში მითითებულ ვადაში.“.

ბ) 49-ე მუხლის $7^1$ პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის $7^2$ ქვეპუნქტი:

,,$7^2$. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში შესაბამისი სამინისტროები უფლებამოსილი არიან ამ მუხლის მე-6 და $6^1$ პუნქტებითა და მე-7 პუნქტის „ბ“–„დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში განიხილონ სამეურვეო საბჭოს დათხოვნის ან/და დირექტორის/დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი.“.

**მუხლი 2.** ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი

## განმარტებითი ბარათი

## საქართველოს კანონის პროექტზე _ ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

**ა. ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:**

**ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი**

მოქმედი კანონმდებლობით საჯარო სკოლის სტრუქტურული ერთეულების მიერ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების დარღვევის შემთხვევაში, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო უფლებამოსილია სკოლას მისცეს წერილობითი გაფრთხილება ან/და სკოლის სამეურვეო საბჭოს მიმართოს შესაბამისი დასაბუთებული წარდგინებით დირექტორისათვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე. დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, აღნიშნულ ქმედებას საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საჯარო სკოლებში, ახორციელებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ წარმოებული ინსპექტირების საფუძველზე.

,,ზოგადი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონში 2017 წელს განხორციელებული ცვლილების თანახმად, აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების შესაბამის სამინისტროებს მიენიჭათ მათ ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებულ საჯარო სკოლებში დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის გათავისუფლების უფლებამოსილება. შესაბამისად, აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების შესაბამის სამინისტროებს უნდა გააჩნდეთ ზემოთ აღნიშნულ შემთხვევებში, რომელზეც საუბარია ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 49-ე მუხლის მე-6, მე-6[1] პუნქტებსა და მე-7 პუნქტის ,,ბ“, ,,გ“ და ,,დ“ ქვეპუნქტებში, სამეურვეო საბჭოს დათხოვის ან/და დირექტორის/დირექტორის მოვალეობის შემსრულებლისათვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის განხორციელების უფლებაც.

**ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:**

კანონპროექტის მიზანია, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსათვის უფლების დელეგირება, რომლის თანახმადაც, საჯარო სკოლის სტრუქტურული ერთეულების მიერ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების დარღვევის შემთხვევაში, სამინისტრო აჭარის

ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ საჯარო სკოლებს მისცემს წერილობით გაფრთხილებას ან/და სკოლის სამეურვეო საბჭოს მიმართავს შესაბამისი დასაბუთებული წარდგინებით დირექტორისათვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე. ასევე სამინისტროს მიეცემა უფლება შეუწყვიტოს უფლებამოსილება დირექტორს/ დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს, თუ საჯარო სკოლა დირექტორის საქმიანობის გამო ერთი წლის განმავლობაში 2 წერილობით გაფრთხილებას მიიღებს.

**ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:**

პროექტით გათვალისწინებული საკითხების დასარეგულირებლად შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნა.

**ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:**

კანონპროექტის მიღების შემთხვევაში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებულ საჯარო სკოლებში დისციპლინური გადაცდომის შემთხვევებში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ექნება უფლება გაატაროს დისციპლინური ზომები, კერძოდ: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ საჯარო სკოლებს მისცემს წერილობით გაფრთხილებას; სკოლის სამეურვეო საბჭოს მიმართავს შესაბამისი დასაბუთებული წარდგინებით დირექტორისათვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე; ასევე სამინისტროს მიეცემა უფლება შეუწყვიტოს უფლებამოსილება დირექტორს/ დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს, თუ საჯარო სკოლა დირექტორის საქმიანობის გამო ერთი წლის განმავლობაში 2 წერილობით გაფრთხილებას მიიღებს.

**ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:**

კანონპროექტის თანახმად, **49-ე მუხლის მე-6, მე-6[1] პუნქტებისა და მე-7 პუნქტის „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,** „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 49-ე მუხლის მე-7[1] პუნქტს ემატება მე-7[2] პუნქტი.

ცვლილების თანახმად, იმ შემთხვევებში, როდესაც საჯარო სკოლის სტრუქტურული ერთეულების მიერ ირღვევა საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნები და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიენიჭება საჯარო სკოლის დირექტორის/დირექტორის მოვალეობის შემსრულებლისათვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხის განხილვის უფლება.

**ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიციირებული კანონპროექტის შემთხვევაში):**

ასეთი არ არსებობს.

**ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში – აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:**

კანონის ამოქმედების დროდ შერჩეული იქნა იგივე თარიღი, რაც ძირითადი კანონის პროექტის ამოქმედებისთვის არის განსაზღვრული.

**ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):**

ასეთი არ არსებობს.

**ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი):**

**ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:**

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

**ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:**

კანონპროექტის მიღებას არ ექნება გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

**ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:**

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

**ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით:**

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

**ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:**

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს ფინანსურ გავლენას იმ პირებზე, რომლებზედაც ვრცელდება აღნიშნული პროექტის მოქმედება.

**გ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:**

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის შემოღების ვალდებულებას.

**გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:**

**გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:**

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

**გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:**

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

**გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:**

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს, აგრეთვე კანონპროექტის მიღება არ უკავშირდება რომელიმე ხელშეკრულებას/შეთანხმებას.

**გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:**

ასეთი არ არსებობს.

**დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები.**

**დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:**

ასეთი არ არსებობს.

**დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:**

ასეთი არ არსებობს.

**დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:**

ასეთი მიმოხილვა არ არსებობს.

**ე) კანონპროექტის ავტორი:**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი ვლადიმერ მგალობლიშვილი.

**ვ) კანონპროექტის ინიციატორი:**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო.

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
განათლების, კულტურისა და სპორტის
სამინისტრო

GEORGIA
AUTONOMOUS REPUBLIC OF AJARA
MINISTRY
OF EDUCATION, CULTURE AND SPORT

MES 1 19 00380416

01/04/2019

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს
განათლების, მეცნიერების, კულტურისა და
სპორტის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეს,
ბატონ ვლადიმერ მგალობლიშვილს

ბატონო ვლადიმერ,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში განხილულ იქნა თქვენი 2019 წლის 29 მარტის N09-02-16/247 კორესპონდენციით (სამინისტროში რეგისტრაციის N373406, 29.03.2019) წარმოდგენილი საკანომდებლო ინიციატივა „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე.
ცვლილება შეეხება კანონის 49-ე მუხლის მე-6 პუნქტის ახალი რედაქციით ჩამოყალიბებასა და 49-ე მუხლისათვის $7^2$ პუნქტის დამატებას, რითაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ენიჭება უფლებამოსილება, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებულ საჯარო სკოლებში დისციპლინური გადაცდომის შემთხვევებში გაატაროს დისციპლინური ზომები.

სამინისტროს კანონპროექტთან დაკავშირებით შენიშვნები არ აქვს და მიზანშეწონილად მიაჩნია წარმოდგენილი ცვლილებების განხორციელება.

პატივისცემით,

6015 ქ. ბათუმი, ლ. გუდიაშვილის ქ. №4
ტელ./ფაქსი: 0422 245370
www. moecs.ge

№4 L. Gudiashvili street, Batumi 6015
Tel./Fax: +995 (422) 245370
www. moecs.ge

ინგა შამილიშვილი
მ ი ნ ი ს ტ რ ი

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი
MINISTER OF EDUCATION, SCIENCE, CULTURE AND SPORT OF GEORGIA

MES 2 19 00422311

11/04/2019

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს**
**განათლების, მეცნიერების, კულტურისა და**
**სპორტის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეს**
**ბატონ ვლადიმერ მგალობლიშვილს**

**ბატონო ვლადიმერ,**

თქვენი 2019 წლის 30 იანვრის N09-02-16/57 (სამინისტროში რეგისტრაციის N95961, 30/01/2019), 2019 წლის 27 მარტის N09-02-16/237 (სამინისტროში რეგისტრაციის N360980, 27/03/2019) და 2019 წლის 02 აპრილის N09-02-16/252 (სამინისტროში რეგისტრაციის N383879, 02/04/2019) წერილების საპასუხოდ, რომლებიც შეეხება თქვენ მიერ დაგეგმილ "ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს კანონის პროექტის საკანონმდებლო ინიციერებას გაცნობებთ, რომ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო აღნიშნულის თაობაზე თანხმობას გამოთქვამს.

**პატივისცემით,**

საქართველოს განათლების, მეცნიერების,
კულტურისა და სპორტის მინისტრი
მიხეილ ბატიაშვილი

0102 ქ. თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. N52
52 Dimitry Uznadze str. Tbilisi 0102, Georgia
ტელ/Tel.: (+995 32)2 200 220

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს აპარატი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ჩაქვი, ბ. მეგენეიშვილის ქ. №25

30/04/2019
N 853

853-09-02-11-3-201904301548

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი
საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და
საქმისწარმოების დეპარტამენტის
უფროსს ბატონ გიორგი ბერიძეს

# დ ა ს კ ვ ნ ა

,,საქართველოს კონსტიტუციის 45-ე მუხლის შესაბამისად, საკანონმდებლო ინიციატივის წესით ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტის საქართველოს პარლამენტში წარდგენის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტის თაობაზე
(N09-01-08/73, 25.04.2019 წ. ინიციატორი: უმაღლესი საბჭოს წევრი ვლადიმერ მგალობლიშვილი)

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 85-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტისა და 86-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის მიერ განხილულ იქნა ,,საქართველოს კონსტიტუციის 45-ე მუხლის შესაბამისად, საკანონმდებლო ინიციატივის წესით ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტის საქართველოს პარლამენტში წარდგენის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტი.

წარმოდგენილი დადგენილების პროექტი შეესაბამება ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-18 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

პატივისცემით,

**ვაჟა ცეცხლაძე**

**დეპარტამენტის უფროსი**

**იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი**